სენტ-ეტიენის და თსუ-ს ერთობლივი ღონისძიება

პროექტის **„ადგილობრივი და რეგიონული თემების ხელშეწყობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარებისათვის“ (LoRDeP)** პრეზენტაცია გაიმართა 12 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ღონისძიება ორგანიზებული იყო ევროპის საბჭოს, სენტ–ეტიენის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) და თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ. პრეზენტაცია წარმოადგენდა 12–16 ოქტომბერს დაგეგმილი ვორქშოფის შესავალ ნაწილს. ვორქშოფს საფუძვლად ედო საქართველოს მთავრობის ინიციატივა განავრცოს 2016–2017 წლების საქართველო–ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა ტერიტორიული განვითარების პროექტებზე, რომლებიც დაეფუძნება ტერიტორიის მიმართ კულტურული მემკვიდრეობის მიდგომას და რომელიც სამომავლოდ საფუძვლად დაედება "ადგილობრივი და რეგიონული პროექტების" (LoRDeP) განვითარებას.

პროექტის პრეზენტაციაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს, სენტ–ეტიენის უნივერსიტეტის, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა.

პროექტის ფარგლებში სენტ-ეტიენის უნივერსიტეტიდან ჩამოვიდა რამდენიმე პროფესორი, ღონისძიების ორგანიზატორი და 20-მდე სტუდენტი. პროექტი მიზნად ისახავდა შეესწავლათ საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში რეგიონალური პროექტები, რომლებიც ტურიზმის, მცირე ბიზნესის და ადგილობრივი წარმოების განვითარებას უწყობს ხელს. პროექტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ჩართული იყო ბაკალავრიატის საფეხურის 8 სტუდენტი, 1 მაგისტრანტი და 3 დოქტორანტი. პროექტში

მონაწილეობისათვის სტუდენტები შერჩეულნი იყვნენ მათი აკადემიური მოსწრებისა და ინგლისური ენის ცოდნის დონის მიხედვით. პროექტის ფარგლებში ქართველი სტუდენტები თან ახლდნენ ფრანგ კოლეგებს, ეხმარებოდნენ ინტერვიუს ჩატარებაში, კომუნიკაციასა და ქართული კონტექსტის გააზრებაში. მეორე დასკვნითი ვორქშოფი ჩატარდა თელავის უნივერსიტეტში, სადაც წარმოდგენილ იქნა ზედაპირული, პირველადი მასალა და წინასწარი დასკვნები.